საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან მიქაბერიძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის, კანდიდატის - გოჩა ჯეირანაშვილის, წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, ამავე სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულების საფუძველზე, სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა გოჩა ჯეირანაშვილი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძვლიანი შესწავლის, მათ შორის, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ გოჩა ჯეირანაშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს. საგულისხმოა, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი შეფასებულ მყავს 92 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 92% შეადგენს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთიანი, შემაჯამებელი ოქმის შესაბამისად, კანდიდატმა დააგროვა 1386 ქულა, ანუ მაქსიმალური შეფასების 92,40% და რეიტინგის მიხედვით დაიკავა მეორე ადგილი.

ამდენად, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად 2024 წლის 30 მაისს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურას, ვინაიდან, მიმაჩნია, რომ მას გააჩნია სათანადო პროფესიული გამოცდილება, მოსამართლის

მაღალი წოდებისთვის შესაფერისი ქცევა, პიროვნული და საქმიანი რეპუტაცია, კომპეტენცია და ა.შ.. შესაბამისად, ის სათანადო პასუხისმგებლობით შეასრულებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილებას.

ლევან მიქაბერიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

30 ---------- 2024 წელი